ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N30-225

ქ. თბილისი 02 მაისი 2024 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შპს „თბილსერვის ჯგუფი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ფაჩულიას სახით და მეორეს მხრივ შპს „ედისონ სთორი“, მისი დირექტორის ნიკოლოზ სიხარულიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“);

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველის მიერ ჩატარებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე (**NAT240005808**) გაიმარჯვა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებამ, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ავტომატური ამომრთველების (31212000 - წრედის გამთიშველები/ავტომატური ამომრთველები);

2.2 შესყიდვის ობიექტების სრული დასახელება, რაოდენობა, ტექნიკური მახასიათებლები და ერთეულის ფასი მითითებულია დანართი N1-ში და დანართი N2-ში, რომელიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში;

3.2 შესასყიდი საქონლის ღირებულება (შემდგომში “ხელშეკრულების ღირებულება”) შეადგენს **საერთო ღირებულება: 37 740,00 (ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;**

4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მოწოდებული საქონელი შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე ტექნიკურ სტანდარტებს და ნორმებს, ხოლო რაოდენობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არის ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე;

5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 70 კალენდარული დღის ვადაში (არაუგვიანეს 2024 წლის 11 ივლისის ჩათვლით).

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი - ქ.თბილსი, ალექსანდრე თვალჭრელიძის პირველი შესახვევი N25;

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით და ტექნიკური საშუალებებით;

6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს უხარისხო ან ნაკლოვანი საქონლის შეცვლას;

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს საწყობების მართვის დეპარტამენტების და გარე განათების დეპარტამენტის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მიღებას ახორციელებენ ინსპექტირების განმახორციელებელი პირების თანდასწრებით;

6.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

7. ანგარიშსწორება

7.1 შესასყიდი ობიექტის ღირებულება დაიფარება, მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების „7.2“ პუნქტის შემთხვევისა;

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმის/პირგასამტეხლოს გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებიდან 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშწორებამდე მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი უფლებამოსილია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ჯარიმის/პირგასამტეხლოს თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა;

7.3 ანაზრაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 “შემსყიდველი” ვალდებულია:

8.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას, საქმის კურსში ჩააყენოს “მიმწოდებელი” ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

8.2 “შემსყიდველს” უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია „მიმწოდებლის“ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
8.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო შესყიდვის ობიექტის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.
8.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
8.3.2 მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტის 2.2 პუნქტის სპეციფიკაციებით და გადასცეს მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში;
8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „შემსყიდველი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.3.5 საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო შესყიდვის ობიექტი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი;
8.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.4.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

9.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა , ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით;
9.3 ხელშეკრულების განსაზღვრული შესყიდვის ობექტის მიწოდების ვადის გადაცილებისთვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;
9.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის დაგვიანებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 10 კალენდარულ დღეს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
9.5 ხელშეკრულების (ცალმხრივად) შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით;
9.6 ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის საგრანტიო ვადის/პირობების დარღვევის შემთხვევაში, ხაარვეზ(ებ)ის აღმოსაფხვრელად წერილობითი შეტყობინებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში ხაარვეზ(ებ)ის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ

ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო ხაარვეზ(ებ)ის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;
9.7 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ინსპექტირების დეპარტამენტისა და გარე განათეის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლები;

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;
11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.4.3 მხარეთა შეთანხმებით.
11.4.4 წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
11.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით“ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთასხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სუბკონტრაქტორები

16.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით;

16.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;

16.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

17.3 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

17.4 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

17.5 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

17.6 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

17.7 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

17.8 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით, რომელსაც აქვს ელექტრონული ხელმოწერა როგორც შემსყიდველი, აგრეთვე მიმწოდებელი ორგანიზაციის მხრიდან;

17.9 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

17.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას;

18. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
შპს „თბილსერვის ჯგუფი“
მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი #67
ს/კ 206267494
სს „საქართველოს ბანკი“
კოდი: BAGAGE22
ანგ. N: GE81BG0000000499211307

„მიმწოდებელი“
შპს „ედისონ სთორი“
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N9
ს/ნ 406303646
ტელ: 596 313 000,568 212 123, 598 310 011, 595 155 544.
ელ-ფოსტა: store@edison.ge
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ N: GE44BG0000000162603446GEL

დირექტორი
დავით ფაჩულია

დირექტორი
ნიკოლოზ სიხარულიძე

Nikoloz Sikharulidze 01024077529
Digitally signed by Nikoloz Sikharulidze
Date: 2024.05.02 11:35:03

დანართი N1

N	დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია ან/და ბრენდის დასახელება	მოდელი	ერთეულის ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით)
	1	2	3	4	5	6	7
1	C კლასი 25ა	500.00	ჩინეთი	Zhejiang CHINT Electrics Co., Ltd.	NXB-63	4.48	2 240.00
2	C კლასი 40ა	1000.00	ჩინეთი	Zhejiang CHINT Electrics Co., Ltd.	NXB-63	4.48	4 480.00
3	C კლასი 63ა	1500.00	ჩინეთი	Zhejiang CHINT Electrics Co., Ltd.	NXB-63	4.48	6 720.00
4	C კლასი 100ა	1500.00	ჩინეთი	Zhejiang CHINT Electrics Co., Ltd.	NXB-125G	10.80	16 200.00
5	B კლასი 6ა	1000.00	ჩინეთი	Zhejiang CHINT Electrics Co., Ltd.	NXB-63	5.40	5 400.00
6	B კლასი 16ა	500.00	ჩინეთი	Zhejiang CHINT Electrics Co., Ltd.	NXB-63	5.40	2 700.00
საერთი ღირებულება: 37 740,00 (ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;							

დანართი N2

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები:

1. ავტომატური გამომრთველი ერთ პოლუსა “C”კლასი

N	ავტომატური გამომრთველი ერთპოლუსა 25ა; 40ა; 63ა; 100ა.	
1	ნომინალური ძაბვა	230 ვოლტი
2	საიზოლაციო ძაბვა	500 ვოლტი
3	სიხშირე	50 ჰერცი
4	კლასი	C
5	დაცვა	IP 20
6	შემავალი და გამავალი კაბელების მომჭერები	35 მმ²
7	უნდა იმუშაოს გარემოს ტემპერატურაზე	(-35 °დან +70° მდე)

2. ავტომატური გამომრთველი ერთ პოლუსა „B” კლასი

N	ავტომატური გამომრთველი ერთპოლუსა 6ა; 16ა.	
1	ნომინალური ძაბვა	230 ვოლტი
2	საიზოლაციო ძაბვა	500 ვოლტი
3	სიხშირე	50 ჰერცი
4	კლასი	B
5	დაცვა	IP 20
6	შემავალი და გამავალი კაბელების მომჭერები	35 მმ²
7	უნდა იმუშაოს გარემოს ტემპერატურაზე	(-35 °დან +70° მდე)

„შემსყიდველი“
შპს „თბილისერვის ჯგუფი“
დირექტორი
დავით ფაჩულია

„მიმწოდებელი“
შპს „ედისონ სთორი“
დირექტორი
ნიკოლოზ სიხარულიძე

Nikoloz Sikharulidze 01024077529
Digitally signed by Nikoloz Sikharulidze
Date: 2024.05.02 11:36:38

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

02 მაისი 2024 წელი

შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი ვადასტურებ, რომ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ **ავტომატური ამომრთველების** სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით 2024 წლის 02 მაისს **შპს „ედისონ სთორისთან“** ხელშეკრულების **N30-225** გაფორმებით, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი:

კახა სამუშია